# „მოგზაურობა დედამიწიდან მარსამდე“





**კვირას**, 12 საათზე, რუსთავის „მეტალურგის“ ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო დაძმობილებული ქალაქების რუსთავისა და სენტ-ჯონსის (კანადა) საერთაშორისო დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება დევიზით „სპორტი ყველასათვის“. 800-მეტრიან კროსში მონაწილეობა მიიღო 3000-მდე სპორტის მოყვარულმა. შემდეგ მონაწილეებმა სტადიონის სპორტული კომპლექსები დაიკავეს და იმის მიხედვით, ვის რომელი სახეობა ემარჯვებოდა, დაიწყეს ასპარეზობა მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ბაგირის გადაძალვაში, სამძიმეების აწევაში და მძლეოსნობაში. ტურიზმის მოყვარულებმა კი იალღუჯის მთისაკენ აიღეს გეზი. პარალელურად მთელი ქალაქის სპორტულ მოედნებზე მიმდინარეობდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები...

იხ. მე.2 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 თებერვალი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 26 (9945) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## საქართველოს სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე ● წყალბურთი, ველოსპორტი, კალათბურთი

### ორმოცდამეხუთე სტარტი

**ჩვენი** ქვეყნის ორ ქალაქში — ხარკოვსა და ალმა-ათაში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 45-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. თბილისის დინამოელები ხარკოვში თამაშობენ. სამი შეხვედრის შემდეგ მათ ორი გამარჯვება აქვთ.

პირველი მატჩი თბილისელებმა შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის (სევასტოპოლი) წყალბურთელებს მოუგეს — 6:5, მერე — მოსკოველ თანაკლუბელებთან დათმეს — 10 14. მესამე წრეში კი ტურნირის მასპინძლებს, ხარკოვის „ლოკომოტივის“ წყალბურთელებს აჯობეს — 7:6.

### ორგზის პრიზიორი

**აეროფლოტის** პრიზზე მოსკოვში მიმდინარე ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპრინტერი მონაწილეობდა, მათ შორის თბილისელი ოთარ მჭედლიშვილიც, რომელმაც ორ სახეობაში საპრიზო ადგილები დაიკავა.

ომნიუმში (საველოსიპედო მრავალჭიდში) იგი მესამე იყო ქ. ხრაბცოვისა და ე. მალიმენკოვის შემდეგ, სპრინტერთა ფინალში კი გამარჯვება თავის მთავარ მეტოქეს ნ. კოვშს დაუთმო და მეორე ადგილი დაიკავა.

### ლიდერთა მატჩი და...

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**ვილნიუსი.** თბილისის დინამოელებმა განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „სტატიბასთან“ 29 ქულით წააგეს — 83:112, თუმცა პირველ ოც წუთში ბრძოლა საკმაოდ მძაფრი იყო და ვილნიუსელებმა ტაიმი მხოლოდ 4 ქულით მოიგეს — 46:42.

**კაუნასი.** აქ გაიმართა ჩემპიონატის ორი პოტენციური ლიდერის, „ჟალგირისისა“ და კიევის „სტროიტელის“ მატჩი. ლიტველმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 106:97. „ჟალგირისმა“ ჯერჯერობით 13 თამაში მოიგო და მხოლოდ ერთი დათმო, „სტროიტელს“ კი 15 თამაშის შემდეგ ორი მარცხი აქვს.

**თბილისში** გრძელდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც საერთო ინტერესი გამოიწვია.. სპორტის ზოგიერთ სახეობაში უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები.

სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, აღბეჭდილია გორის ეკონომიკის ინსტიტუტისა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეთა გუნდების შეხვედრის მომენტი.



## შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ

ჩემპიონატის ექო

საბჭოთა კავშირის XVII ჩემპიონატი ძიუდოში, როგორც უკვე იცით, ქართველ ფალავანთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. რა მხრიდან, როგორი საზომითაც უნდა მივუდგეთ ამ ასპარეზობის შედეგებს, ყველა მაჩვენებელი ჩვენი გუნდის სასარგებლოდ მეტყველებს. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მინსკის ტატამზე გათამაშებული რვა ოქროს მედლიდან ნახევარი ერთ გუნდს — საქართველოს ნაკრებს ხვდა წილად და ამდენივე უმაღლესი ჯილდო დანარჩენმა თხუთმეტმა კოლექტივმა (!) გაინაწილა.

ჩვენი სპორტსმენების უპირატესობა აშკარაა მოპოვებული მედლების საერთო რაოდენობის მიხედვითაც. მათ ნავარაუდებზე ხუთით მეტი — 13 ჯილდო (4 ოქროს, 3 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი) მიიღეს. საქართველოს გუნდმა სწორედ ხუთი მედლით გაუსწრო რუსეთის ფედერაციის ნაკრებს, რომელმაც რვა ჯილდო დაისაკუთრა. არ დაგავიწყდეთ, ამ გუნდის შემადგენლობაში 65 ძიუდოისტი იყო, ჩვენი რესპუბლიკისა კი 36 მოჭიდავე ასპარეზობდა. ერთი სიტყვით, ეს იყო მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენი ძიუდოს ხანმოკლე ისტორიას.

მინსკში, ჩემპიონატის დაწყებამდე მსაჯები, ორგანიზატორები პირდაპირ ვერ აუდიოდნენ განაცხადებით მოსულ სხვადასხვა გუნდების წარმომადგენლებს — ყველას სურდა იმაზე მეტი სპორტსმენი გამოეყვანა, ვიდრე დებულებით იყო გათვალისწინებული. ეს აშკარად მეტყველებს გაზრდილ ინტერესზე ძიუდოს მიმართ. გადახედეთ თუნდაც ქვემოთ მოყვანილ ჩემპი-

იხ. მე-3 გვ.





ეს ფოტოები მინსკში, ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს არის გადაღებული. ჭიდაობენ ავთანდილ გუბელაძე (მარცხენა ფოტო) და ამირან ტოტიკაშვილი.

ომარ ხაბელაშვილის ფოტოები

**პრაღა.** დამთავრდა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა შეხვედრა დევისის თასზე. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს ანგარიშით 4:1. მომდევნო წრეში ჩეხოსლოვაკიის გუნდი გფრ-ის ნაკრებს შეხვდება. მატჩი გაიმართება ისევ პრაღაში 7-9 აპრილს.

**ვეილი** (აშშ). სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი ლუქსემბურგელმა მარკ ჟირარდელიმ მოიპოვა. მან ყველას აჯობა ე. წ. კომბინაციაში. სლალომისტთა შეჯიბრებაში ჟირარდელი მესამე იყო, სწრაფდაშვებაში — მეორე, ორჭიდში კი 4,72 ქულა დააგროვა, რამაც გაიყვანა კიდეც პირველ ადგილზე. მომდევნო ადგილებზე არიან პაულ აკოლა (შვეიცარია) და გიუნტერ მადერი (ავსტრია).

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ნაკრები მეცამეტედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ბურთიან ჰოკეიში. ფინალში მან დიდი ანგარიშით დაამარცხა ფინეთის გუნდი — 12:2 (4:1).

**კორტინა დამპეცო** (იტალია). ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში (ორადგილიანები) კალგარის ოლიმპიადის ჩემპიონმა რიგელმა იანის კიპურსმა და მისმა ახალმა მეწყვილემ ალდის ინტლერსმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონის ოქროს მედლები წილად ხვდათ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ვოლფგანგ ჰოპესა და ბოგდან მუზიოლს (გდრ).

ტელეტაიპი – მკითხველი

### ყურადღება! მაგნიტური დღეები

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება იუწყება მაგნიტური დღეების შესახებ. ამ თვეში ეს დღეებია: 8, 9, 14, 15, 22 და 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მოგზაურობა დედამიწიდან მარსამდე“

(დასასრული)

ვეწვიეთ ავტომატიკის ინსტიტუტის სპორტულ მოედანსაც. აქ ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ტუხია ძაბულიძემ დილიდანვე გამოიყვანა ინსტიტუტის თანამშრომლები. ჩვენი მისვლის მომენტში მინიფეხბურთში მიმდინარეობდა შეჯიბრება. ინსტიტუტის ორასი თანამშრომელი ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დილით შეიკრიბება ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ ხიდთან და სამუშაო ადგილამდე ფეხით გაივლის ორ კილომეტრს. იგივე განმეორდება საღამოს, ამჯერად — სამუშაო ადგილიდან ხიდამდე. საერთოდ კი ამ ღონისძიებაში რვაასამდე კაცი მიიღებს მონაწილეობას და თავის პირობით კილომეტრებს მიუმატებს პლანეტა მარსამდე გასასვლელ გზას. არ გაგიკვირდეთ, ეს ღონისძიება დედამიწიდან მარსამდე დაუსწრებელი მოგზაურობაცაა. პირობა ასეთია: ყოველი მოვარჯიშის მიერ მოედანზე გატარებული ოცი წუთი უდრის მარსის გზაზე გავლილ ერთ კილომეტრს.

საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელ-ინსტრუქტორი ვლადიმერ ერენინი: ამ ღონისძიების თაოსნები კანადელები არიან. მათ ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ. თორმეტი წლის წინ კანადაში მოსახლეობის მხოლოდ სამი პროცენტი თუ იყო გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში ჩაბმული, მაგრამ აგიტაციისა და ფინანსური დახმარების შედეგად განვლილ პერიოდში მოვარჯიშეთა რიცხვი 35 პროცენტამდე და მეტითაც გაიზარდა. ჩვენ ამ ღონისძიებას პირველად ვატარებთ. იმედი გვაქვს, რომ დიდ გამოცდილებას შევიძენთ. ამიტომ დღეისათვის ნაკლოვანებებზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძიების პროცესში ვართ. კანადაში დასასვენებელ ადგილებში სპეციალური მანქანა-ფურგონები სპორტულ ინვენტარს დაატარებენ დამსვენებლებისისთვის მინიმოედნების მოსაწყობად. კანადელთა გამოცდილებამ დააინტერესა ოტავასთან დაძმობილებული ქალაქი ნაბერეჟნიე ჩელნი და იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს თავსაც მოაბამენ.

სპორტულ ღონისძიებებში სხვებთან ერთად აქტიურად ჩაებნენ მოსწავლე ახალგაზრდები. თითქმის ყველა სპორტულ მოედანზე მოეწყო სხვადასხვა თამაშობები და შეჯიბრებები.





— ჩვენგან ღონისძიებაში ასორმოცდაათი კაცი მონაწილეობს, — გვითხრა საბინაო კომუნალური მეურნეობის ტრესტის ფიზკულტურის უფროსმა მეთოდისტმა ელიზბარ გვარამაძემ, — იმედი გვაქვს, მთელი კვირის განმავლობაში ისინი თავისუფალ დროს სპორტულ მოედნებზე გაატარებენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ღონისძიების პროგრამაში შედის ოჯახური გასვლები კოლექტიური მებაღეობის ნაკვეთებში. მებაღეობის წევრები ერთი კვირის მანძილზე იალღუჯის მთაზე და გაჩიანში მდებარე ნაკვეთებში იმუშავებენ. ამით ერთდროულად ორი სასიკეთო საქმე გაკეთდება.

კვირას ფიზიკურ დატვირთვასაც მიიღებენ და ნაკვეთებსაც დაამუშავებენ. მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 21 ათასამდე კაცმა. ინდივიდუალურად მოვარჯიშენი ამის შესახებ ტელეფონით ატყობინებდნენ ქალაქის სპორტკომიტეტს.

დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება 12 თებერვლამდე გრძელდება. ქალაქის ყველა სპორტული მოედანი მთელი დატვირთვით იმუშავებს. ტელექსები უკვე ელიან პირველ ინფორმაციებს, რომლებიც ჯერ მოსკოვში და შემდეგ კანადაში გადაიცემა.

**გოჩა ქავილაძე,**
**თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

# მკითხველთა წერილები

## თვის მონაგარში ნაკლოვანებებზეც დაწერეთ

**დიდი** ინტერესით ვკითხულობ თქვენს გაზეთში წერილებს, როცა თვის შედეგებს აჯამებთ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ იქ უფრო მეტს, რატომღაც მხოლოდ წარმატებებზე ვკითხულობთ და არ ვიცი, იქნებ მე მეჩვენება ასე, ნაკლოვანებებს გვერდს უვლით. არადა, ჩვენ, მკითხველებს ყველაფერი გვაინტერესებს, თვით სიტყვა „მონაგარი“ უფრო წარმატებების, სასიხარულო ამბების შემცველია, მაგრამ არა უშავს, ნაკლოვანებებზეც დაწერეთ, თორემ ბევრი სპორტსმენი თუ მწვრთნელი ჯერ კიდევ თავს არხეინად გრძნობს, განუსჯელი რჩება სადმე თუ ჩაფლავდება. კრიტიკული ტონი „ლელოს“ არ აკლია, მაგრამ „თვის მონაგარში“ მაინც გვითხარით ხოლმე ვინ და რატომ გაგვიმტყუნა იმედები.

**თევრად ედილაშვილი.**
ქარელი.

## რატომ არ ვღებულობ „ლელოს“?

ვარ შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდი. 1984 წელს ოჯახური პირობების გამო სამკურნალოდ გადავედი საცხოვრებლად ტუაფსის რაიონის სოფელ შაუმიანში. მაქვს გამოწერილი ქართული გაზეთები: „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“ და „ლელო“. მინდა რომ ჩემმა შვილებმა არ დაივიწყონ მშობლიური ქართული ენა. როგორც ყოველთვის, გასულ 1988 წლის 19 ოქტომბერს გამოვიწერე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთები. „კომუნისტი“ და „სოფლის ცხოვრება“ მოაქვთ, საყვედური არ მეთქმის. აი, „ლელო“ კი ჯერ არც ერთი არ მიმიღია. გთხოვთ დამეხმაროთ. მაქვს გამოწერის ქვითარი, № 92. 19. 10. 1988 წელი.

**ნიკოლოზ ხაჩიძე.**

**რედაქციისაგან: იმედია, „სოიუზპეჩატის“ შესაბამისი სამსახური უყურადღებოდ არ დატოვებს მკითხველის გულისტკივილს და პასუხს რედაქციასაც აცნობებს.**

## ეგებ დაგაინტერესოთ?

ამას წინათ, გაზეთში წავიკითხე, რომ ქართულ ცირკში იწვევენ საცირკო ხელოვნების უნარის მქონე ახალგაზრდებს. მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველსა და ცირკის დაინტერესებულ სპეციალისტებს გავაცნო ერთი ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრობს სიღნაღის რაიონის სოფელ მირზააანში. ესაა დავით ნატროშვილი, რომელსაც აქვს საოცარი ფიზიკური მონაცემები და შეიძლება გახდეს გინესის რეკორდების წიგნის კანდიდატიც კი.

დავით ნატროშვილს შეუძლია ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩვეულებრივ სკამზე დაიჭიროს ხელყირა, ამ მდგომარეობაში დაწვდეს და კბილებით აიღოს სავსე ჭიქა და მთლიანად დაცალოს იგი ხელების დაუხმარებლად. აქ საოცარი ისაა, რომ სითხეს იგი ვერტიკალურ მდგომარეობაში სვამს, თანაც მას ეს პროცესი შეუძლია გაიმეოროს რამდენჯერმე. დამერწმუნეთ, ეს იშვიათი უნარია, რომელმაც, ვფიქრობ, საცირკო ხელოვნების სპეციალისტები უნდა დააინტერესოს.

**ონისე გოგილაშვილი,**
**მეცნიერ-გამომგონებელი.**

## რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

გთხოვთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად დააზუსტოთ და „ლელოს“ მეშვეობით საზოგადოებრიობას აცნობოთ, როგორია საქართველოს პირველობაში მონაწილე საფეხბურთო გუნდების ფინანსური ხარჯები, საიდან დგება იგი და კონკრეტულად რაში იხარჯება სახსრები.

**ნუგზარ ნაჭყებია.**
თბილისი.

## იქნებ ასე გამოვხატოთ პატივისცემა?

ჰოკეის მატჩების დამთავრების შემდეგ შეხვედრის მონაწილეები, მიუხედავად დაძაბული შერკინებისა, სპორტული ეთიკისა და მეგობრობის ნიშნად, ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებიან ერთმანეთს.

ამ ჟესტს ძალზე სასიამოვნოდ აღიქვამს მაყურებელიც და, ვფიქრობთ, მონაწილეებიც.

შემოგვაქვს წინადადება: ჰოკეის მსგავსად, მოწინააღმდეგე ფეხბურთელთა ყველა გუნდის წევრმა (არა მარტო კაპიტნებმა) ხელის ჩამორთმევით გამოხატონ ურთიერთპატივისცემა.

**ზ. ძნელაძე — კულტურის დამსახურებული მუშაკი, ხ. ჯაფარიძე — ჟურნალისტი, დ. შოთაძე — ინჟინერი, თ. მონცელიძე — ინჟინერი, თ. ნათიძე — არქიტექტორი, გ. დავითაშვილი — არქიტექტორი.**

## ასაკის შეზღუდვას მივესალმებით

თქვენს გაზეთში წავიკითხეთ, რომ უკვე საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს საფეხბურთო პირველობაში მონაწილე ფეხბურთელთა ასაკის საკითხი. როგორც იქნა! მოზარდებისთვის (პერსპექტიული ფეხბურთელები მყავს მხედველობაში), ბოლოს და ბოლოს ადგილი გამოჩნდება საკუთარი რაიონის თუ ქალაქის გუნდში. ამ სიახლეს დიდი იმედით შევყურებთ. იგი უდავოდ მოუტანს სარგებლობას ქართულ ფეხბურთს.

**გიორგი მანველაშვილი, ვახტანგ სიორიძე, როსტომ სამყურაშვილი, ფეხბურთის რუსთაველი გულშემატკივრები.**

## სხვებიც მოიწვიეთ

ახლოვდება ახალი საფეხბურთო სეზონი. შემოვდივართ წინადადებით თქვენს რედაქციასთან შეიქმნას საფეხბურთო მატჩების მიმოხილვის სექცია, რომელშიაც გაერთიანდებიან ფეხბურთის მცოდნენი და სტატისტიკოსები, რომლებიც, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრნი არიან. როგორც თბილისში, ისე საერთოდ რესპუბლიკაში. მერწმუნეთ, თუ ასეთი სექცია შეიქმნება, უფრო საინტერესოდ გაშუქდება არა მარტო საკავშირო პირველობის მატჩები, არამედ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი.

**ბადრი მანაგაძე.**
თბილისი.

**რედაქციისაგან: მკითხველის წინადადება ყურადსაღებია. საკითხს ამ კვირაში განიხილავს „ლელოს“ რედკოლეგია, რის შემდეგ ინფორმაცია ჩვენს გაზეთში ცალკე გამოქვეყნდება.**

## მისასალმებელი წინადადება

სიამოვნებით გავეცანი შრომისა და ომის ვეტერანის ვახტანგ მახარაძის წინადადებას, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა. ავტორი გვთავაზობს თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირს ნონა გაფრინდაშვილის სახელი ეწოდოს. ჭეშმარიტად, ნონა ხომ არა მარტო ქართული ჭადრაკის, იგი მთელი საჭადრაკო სამყაროს მშვენებაა. და ამდენად, უთუოდ მისასალმებელი წინადადებაა. ნონა სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და დღესაც წარმატებით იღვწის იმისთვის, რომ კვლავაც ყველასგან გამორჩეული იყოს. ასეთ ადამიანს უთუოდ სჭირდება მეტი სითბო და ყურადღება. მისი სახელობის ტურნირის შემოღება უდავოდ იქნება ამის დასტური.

**გია ნადარეიშვილი,**
**საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში.**

## მსურს შემოგთავაზოთ

ისევ დადგა დღის წესრიგში ქუთაისის „ტორპედოსათვის“ სახელის შეცვლის საკითხი. იმედია, ამჯერად საქმე ბოლომდე მივა და საზოგადოებრივ აზრს გაითვალისწინებენ. ჩემი მხრიდან მინდა შემოგთავაზოთ სავარაუდო სახელები: „იმერეთი“, „გელათი“, „სავარდო“, „გავაზი“, „ცისკარი“, „გიშერი“, „ედემი“, „ხომლი“, „ავაზა“, „ქუშტი“, „საჩინო“, „ჩანგი“, „უმბა“, „ფიცხელი“, „იალბუზი“, „გეგუთი“.

ამ სიიდან შეიძლება შეირჩეს ქუთაისის რეგბისტთა გუნდის სახელიც.

**ავთანდილ ჟუჟიტიძე.**

# მეგობრული მატჩები

**ამ** დღეებში ბათუმში ბევრი საინტერესო სპორტული ასპარეზობა ჩატარდა, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესი მინიფეხბურთელთა და კალათბურთელთა საქალაქთაშორისო შეჯიბრებებმა გამოიწვია.

კალათბურთელთა ტურნირში მონაწილეობდნენ ვოლგოგრადის, ჩერკასკის, გორკის, ხარკოვისა და ბათუმის (ორი გუნდი) ნორჩთა კოლექტივები. ძლიერად ჩაატარეს ტურნირი ვოლგოგრადელმა კალათბურთელებმა, მათ ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი, მეორეზე ჩერკასკის, ხოლო მესამეზე ბათუმის-1 გუნდი გავიდა.

მინიფეხბურთელთა მსგავს ტურნირში კი პირველი ადგილი 8 ქულით დაიკავა ბათუმელთა პირველმა გუნდმა, მას ქულით ჩამორჩნენ მეორე ადგილზე გასული ერევნელი სპორტსმენები, მესამე საპრიზო ადგილი ომსკის გუნდს ხვდა წილად (6 ქულა).

უმცროს მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში უძლიერესი იყო ერევნის კოლექტივი, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ბათუმისა და ომსკის გუნდები გავიდნენ.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

## მოძმეთა დასახმარებლად

**მიწისძვრით** დაზარალებული სომხეთის მოსახლეობის დასახმარებლად აჭარის სპორტსახკომმა გადარიცხა 1000 მანეთი. ამავე ფონდში 1300 მანეთი შეიტანა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აჭარის საოლქო საბჭომ.

კოლექტიურ თანხასთან ერთად ორივე ორგანიზაციის თანამშრომლებმა გადარიცხეს ერთი დღის ხელფასიც.

# ისევ ბილიარდის შესახებ

**პატივცემულო რედაქცია!**

**ამ** რამდენიმე ხნის წინ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა მასალები ბილიარდის შესახებ. სასიამოვნოა, რომ ბილიარდის საკავშირო ფედერაციაც შეიქმნა და ეს სახეობა შეტანილია ოფიციალურ სპორტული თამაშების რეესტრში, გაიმართება პირველობებიც.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? მოეწყობა თუ არა რესპუბლიკის პირველობა ბილიარდში? სად შეიძლება თამაშის წესების შესწავლა და შესაბამისი ლიტერატურის შეძენა, თუკი ასეთი არსებობს?

**გოგი ჭინჭარაული, მირზა წიკლაური, გივი ლიქოკელი, დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს ახალგაზრდები.**

ასეთი ხასიათის წერილები რედაქციამ სხვა ავტორებისაგანაც მიიღო. ვეცდებით ერთგვარად მაინც დავაკმაყოფილოთ მათი თხოვნა.

**ბილიარდის** რესპუბლიკური ფედერაცია ჩვენთან ჯერ არაა შექმნილი და ჯერჯერობით არც რაიმე ოფიციალური შეჯიბრების გამართვაა დაგეგმილი. რაც შეეხება ლიტერატურას ბილიარდზე, იგი ძალზე ცოტა არსებობს.

დღეს ჩვენ გესაუბრებით ბილიარდის ინვენტარის შესახებ.

ბილიარდის მაგიდა ოთხი ტიპისაა: საბავშვო — 1X0,5 მეტრი, ჭაბუკთა — 3X1,5 მ., მოზრდილთა — 3,5X1,75 მ, „სრული მაგიდა“ — 3,6X1,8 მ. მაგიდას 6 ლუზა („კარი“) აქვს, თითოეულის ზომა დიამეტრში განისაზღვრება 30-დან 70 მილიმეტრამდე. ლუზის სიგანე მაგიდის კუთხეებში უნდა იყოს ბურთულის დიამეტრზე მეტი: 3-4 მილიმეტრიდან 10-12 მილიმეტრამდე (შესაბამისად მაგიდის ზომისა).

70 მილიმეტრიანი ბურთულით თამაშის დროს გამოიყენება „კიი“ („ჯოხი“), რომლის წონაა 580 გრამი. რაც შეეხება „კიი“-ს სიგრძეს, იგი 1600 მილიმეტრს უდრის, ხოლო მისი დასარტყმელი ნაწილი 14 მილიმეტრამდეა. „კიი“-ს წვერზე



დაწებებულია ტყავის ნაჭერი, რომელიც კარგად „შეიწოვს“ ცარცს.

ბილიარდის მაგიდაზე ტრადიციულად მწვანე ან ცისფერი მაუდია გადაფარებული, რომელზეც კარგად მოჩანს თეთრი ბურთულები. უწინ ბურთულებს ამზადებდნენ ძვირადღირებული (სპილოს ან მამონტის) ძვლისაგან, დღეს კი ისინი მზადდება მაღალხარისხოვანი პლასტმასისაგან. ჩვენს ქვეყანაში ასეთ ბურთულებს ამზადებენ დნეპროპეტროვსკსა და ნიჟნი ტაგილში.

ბილიარდის თამაში სხვადასხვა სახეობისაა: „რუსული მცირე პირამიდა“, „ამერიკანკა“, „მოსკოვური პირამიდა“.

## მოკლედ

**თერჯოლაში** მოეწყო მოსწავლეთა სარაიონო გუნდური პირველობა ჭადრაკში. გაიმარჯვა თერჯოლის პირველი საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ თერჯოლის მეორე საშუალო სკოლის მოჭადრაკეები, მესამეზე — ბარდუბნელი მოსწავლეები.

დაკომპლექტებულია რაიონის ნაკრები გუნდი, რომელიც წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

**ვანო ქუთალაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ

(დასასრული)

ონატის საბოლოო ცხრილს: ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხის წარმომადგენლებს არ ნახავთ შეჯიბრების პრიზიორთა შორის.

ასე რომ, საქართველოს ძიუდოისტთა წარმატება უაღრესად მძაფრ კონკურენციაშია მოპოვებული, რაც უფრო მეტ ფასს სდებს მას. ეს გამარჯვება განაპირობა ჩვენი ფალავნების ნიჭმა, ქართული ჭიდაობის ტრადიციებმა, ჭიდაობის სიყვარულმა, სპეციალისტთა ნაყოფიერმა შრომამ, რაც საგანგებოდ აღნიშნა გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გენადი კალეტკინმა.

ერთსულოვნება ხშირად გადამწყვეტია გამარჯვებისთვის. მინსკში ჩვენი დელეგაცია ერთ სამმოდ ცხოვრობდა, ასპარეზობდა, ჭომაგობდა. აქ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება... გვაგონდება საქართველოს გუნდის შტაბ-ბინაში მდგარი ის უზარმაზარი ქვაბი, რომელშიც ყოველდღე იხარშებოდა კერძი სპორტსმენებისთვის. დილაუთენია, უფრო სწორად, ჯერ კიდევ ბნელში დგებოდნენ სპეციალისტები და ცნობილი მწვრთნელი ანზორ მარტყოფლიშვილი, „შეთავსებით" გუნდის შეფ-მზარეული, საქმეს იწყებდა. თითქოს წვრილმანია, მაგრამ აბა, თვითონ სპორტსმენებს ჰკითხეთ...

ჩვენი წარმატების ერთ-ერთ უპირველეს პირობად იმავე გენადი კალეტკინმა საქართველოს ძიუდოს ცენტრების ეფექტური მუშაობა დაასახელა. მართლაც, ჩემპიონატის შედეგებს რომ თვალი გადავავლოთ, მთელს კავშირში ქალაქებს შორის საუკეთესონი არიან ისევ თბილისი, გორი და ქუთაისი (რა თანმიმდევრობით, ამის დაზუსტება ალბათ არ არის საჭირო, გამარჯვება ხომ საერთო იყო). ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია, — მით უმეტეს ახლა, როდესაც მინსკში, ჩემპიონატისწინა საგანგებო შეკრებაზე, ხმამაღლა ითქვა: ახალ ოლიმპიურ ციკლში ქვეყნის ნაკრები დეცენტრალიზებული წესით მოემზადება. სპორტსმენები შინ ივარჯიშებენ და საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ ხანმოკლე ვადით შეიკრიბებიან, ე. ი. უმაღლესი კლასის ათლეტთა მომზადება თითქმის მთლიანად ადგილობრივმა ცენტრებმა უნდა იტვირთონ.

ახლა კი ამ გარემოებიდან გამომდინარე რამდენიმე პრაქტიკულ, მწვავე საკითხსაც უნდა შევეხოთ. აშკარაა, რომ ძიუდოში უკვე გვყავს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. ასევე უდავოა სპორტსმენთა ნიჭიერება და ენთუზიაზმიც. ყოველივე ეს გვაძლევს შედეგს, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ენთუზიაზმის მუდმივი „ექსპლუატაცია", თუ მას სათანადო, ყოველმხრივი მხარდაჭერა არ გამოუჩნდა, აუცილებლად მიგვიყვანს შედეგების დაქვეითებამდე. ჩვენდა უცხადესია, რომ ჩვენი ძიუდოისტების კლასი და მათი ვარჯიშის პირობები მკვეთრად სცილდება ერთმანეთს. გორში, მაგალითად, ფალავნები უკვე ოცი წელიწადია ერთსა და იმავე პირობებში ვარჯიშობენ, ცხოვრება კი წინ მიდის. ასეთ დამოკიდებულებას არ უნდა იმსახურებდნენ ის სპორტსმენები თუ სპეციალისტები, რომლებიც თავიდანვე ჩვენი ძიუდოს ავანგარდში დგანან. ახლაც, ამ ჩემპიონატში, ოთხი გორელი სპორტსმენი პრიზიორი გახდა, მათ შორის ორმა ჩემპიონობა მოიპოვა.

ძიუდოს შესანიშნავი ცენტრი შექმნა ქუთაისში მწვრთნელმა ომარ მერაბიშვილმა. ულხინდათ, მასზე ნამდვილად ვერ იტყვი. იმედი გვაქვს, ახლა ასეთი წარმატების შემდეგ, მეტი ყურადღებით მოეკიდებიან მწვრთნელის საზრუნავ-საწუხარს.

მარტო ტატამის დაგება, ცხადია, ვერ ჩაითვლება „პირობების შექმნად", თუმცა, ზოგან ესეც პრობლემაა. ახლა სპორტსმენს, თუკი მას უმაღლესი შედეგებისთვის ამზადებ, ბევრი რამ სჭირდება. ყველას, ცხადია, ერთნაირი პირობები ვერ ექნება, მაგრამ ისეთ ნიჭიერ მოჭიდავეებს, როგორიცაა, ვთქვათ, სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე („დინამო"), მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამაზე გულისტკივილით ლაპარაკობდა დგებუაძის მწვრთნელი დემურ არქანია.

გასაკვირი და საწყენია ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელთა პოზიცია: ასეთი სპორტსმენები იზრდებიან მათს თვალწინ, ისინი კი — ვითომც არაფერიო...

აშკარად „დავიწროვდა" საწვრთნელი ბაზები თბილისშიც, სადაც ჩვენი ძიუდოისტების უმრავლესობა ვარჯიშობს. მაგრამ აქ ნუგეშად ის მაინც გვაქვს, რომ შენდება დიდი სპორტული კომპლექსი სოფელ წოდორეთში და უახლოეს მომავალში ალბათ საქმე გამოსწორდება.

მეტი ყურადღება სჭირდებათ სოხუმში, ახმეტაში, ქარელში, მარნეულსა და სხვა რაიონებში მომუშავე სპეციალისტებსა და სპორტსმენებს. საკავშირო სარბიელზე ჩვენი ძიუდოისტების მიერ მოპოვებული პოზიციები უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ. ეს იქნება საერთაშორისო სარბიელზე წარმატების საფუძველიც.

რეზერვი კი მართლაც საიმედოა. ერთ რამედ ღირდა ჩვენი ფალავნების ცქერა მინსკის სარბიელზე. ახალგაზრდებმა ხომ პირდაპირ გააოცეს ყველა, სპეციალისტებიცა და მაყურებლებიც. მაგალითად, თვრამეტი წლის ახმეტელმა სპორტსმენმა ვასილ ომარაშვილმა (86 კგ), რომელიც პირველად გამოდიოდა მოზრდილთა შორის, ძირს დასცა ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ოლეგ მალცევი. მსაჯებმა ეს ილეთი ვაზარით შეაფასეს. შემდეგ ომარაშვილმა ხელი იტკინა და ორთაბრძოლა წააგო, მაგრამ მესამე ადგილისთვის საბრძოლველად მაინც გამოვიდა სარბიელზე და კვლავ ვაზარი მოიპოვა გამოცდილ იგორ რაცასთან, თუმცა ტკივილის გამო ჭიდაობა ველარ გააგრძელა.

მხრის ტრავმის მიუხედავად, III ადგილისთვის იბრძოდა კახა ქურასბედიანიც. მას 25 წამის განმავლობაში ცალი ხელით ეჭირა ტატამს მიჯაჭვული მეტოქე, მაგრამ წმინდა გამარჯვებამდე, 30 წამამდე, ვერ გაძლო და პრიზი დაკარგა. ასეთი შემთხვევები, ცხადია, ხშირად ხდება შეჯიბრებებზე. ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის გავიხსენეთ, რომ ახალგაზრდების მონდომება და შემართება გვეჩვენებინა.

თვით გამოცდილმა მწვრთნელებმაც კი თითქოს ხელახლა აღმოაჩინეს ზოგიერთი თავიანთი სპორტსმენი. ტყუილად კი არ იყო აღტაცებული ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილის, დავით ხახალეიშვილის, ვლადიმერ დგებუაძის, ვალერი პარუნაშვილის გამოსვლით. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ლერი ქორქოლიანმა, სხვებმა. თავისი სიტყვა თქვეს გამოცდილმა მოჭიდავეებმაც — კობა კურტანიძემ, გია და ანზორ თენაძეებმა. ავთანდილ გუბელაძემ კი ორი მედალი მოიპოვა — ოქროსი და ბრინჯაოსი.

შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი მოჭიდავეები 65 და 78 კილოგრამ წონით კატეგორიებში. ესეც გასათვალისწინებელია, მაგრამ, როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა, სწორედ დასახელებულ წონებში რამდენიმე მოჭიდავე დაშავებული იყო (ლერი ნაკანი, მაკარ თვალაძე და სხვები) და ამან აშკარად დაასუსტა გუნდი.

საგანგებოდ გავუსვით ხაზი ძიუდოს ცალკეული ცენტრების დამსახურებას, მაგრამ ეს საერთო გამარჯვება არ იქნებოდა, ნაყოფიერად რომ არ ემუშავა მთავარ გუნდს — საქართველოს ნაკრებს. მთელმა კოლექტივმა მაღალ დონეზე ჩაატარა როგორც მოსამზადებელი, ისე ძირითადი წვრთნა და ჩემპიონატს შესანიშნავად მომზადებული შეხვდა. ტექნიკაზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ჩვენი ფალავნები გამძლეობაშიც ტოლს არავის უდებდნენ. „ბაკურიანში თვით მძიმე წონის მოჭიდავეებსაც კი ვარბენინებდით 10-12 კილომეტრზე და ეს აქ გამოჩნდა". — გვითხრეს მწვრთნელებმა... ნაკრებში შექმნილ თბილ ატმოსფეროზე და ერთსულოვნებაზე კი უკვე ვილაპარაკეთ.

საერთო წარმატებაში უფროსი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის გარდა დიდი წვლილი შეიტანეს გურამ პაპიტაშვილმა, ანზორ მარტყოფლიშვილმა, ომარ მერაბიშვილმა, ჯუმბერ ჯგუთიშვილმა, სულიკო ფიქრიშვილმა, ბიძინა მოხევიშვილმა, ბორის გოგიჩაშვილმა, სამეცნიერო ჯგუფმა გურამ რატიშვილის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ დურმიშხან ჩიტაშვილმა, ექიმმა ლევან შენგელიამ, მასაჟისტმა თეოფილე აშკალოვმა, საქართველოს სპორტსახკომის წარმომადგენელმა სულიკო ჩიტაშვილმა და, რასაკვირველია, სპორტსმენთა პირადმა მწვრთნელებმა. ამ გამარჯვებას მართლაც ბევრი სპეციალისტის შრომა დასჭირდა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**





71 კგ წონით კატეგორიაში თითქმის მთელი საპატიო კვარცხლბეკი ქართველმა ფალავნებმა დაიკავეს. მარცხენა სურათზე, მარცხნიდან: ვლადიმერ დგებუაძე, გია თენაძე, ბათო ჯიქური და ტატამის მასპინძელი მურად ტიულპაროვი; მონაწილეთა დაჯილდოება შეჯიბრების ბოლო დღეს. მარცხნიდან: ავთანდილ გუბელაძე, დავით ხახალეიშვილი, მიხეილ ხუმარაძე... შუაში წინა პლანზე ამირან ტოტიკაშვილია.

ომარ ხაბელაშვილის ფოტოები.

### ტექნიკური შედეგები

**შარშანდელ** ჩემპიონატში, რომელიც 4-7 თებერვალს ალმაათაში ჩატარდა, გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს, მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად საქართველოსა და ყაზახეთს ხვდა. წლეულს, როგორც ხედავთ, ლიდერებმა როლები გაცვალეს. შედარებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ბოლო ორი ჩემპიონატის პრიზიორთა ცხრილებს გადავხედავთ.

**1988 წელი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 3 | 3 | 7 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 |
| ყაზახეთი | 1 | 1 | — |
| ბელორუსია | 1 | — | — |
| უკრაინა | — | 1 | 3 |
| მოსკოვი | — | 1 | 1 |
| აზერბაიჯანი | — | 1 | — |
| მოლდავეთი | — | — | 1 |
| უზბეკეთი | — | — | 1 |
| ლატვია | — | — | 1 |

**1989 წელი**

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 6 |
| რუსეთის ფედერაცია | 3 | 2 | 3 |
| მოსკოვი | 1 | — | — |
| ბელორუსია | — | 1 | 2 |
| ყაზახეთი | — | 1 | 1 |
| მოლდავეთი | — | 1 | 1 |
| ლატვია | — | — | 1 |
| უკრაინა | — | — | 1 |
| უზბეკეთი | — | — | 1 |

ამ ორ ცხრილში ნაკრები გუნდების მიერ მოპოვებული საპრიზო ადგილებია ნაჩვენები. ჩემპიონატის ოფიციალური გუნდური შედეგები კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| საქართველო | 33 ქულა |
| რუსეთის ფედერაცია | 29 |
| ბელორუსია | 12 |
| მოსკოვი | 8,5 |
| ყაზახეთი | 8,5 |
| მოლდავეთი | 3,5 |
| უკრაინა | 3,5 |
| უზბეკეთი | 3,5 |
| ლატვია | 3,5 |
| ლენინგრადი | 1,5 |

დანარჩენ კოლექტივებს ქულები არ მიუღიათ და ამის გამო ადგილები არ მიეკუთვნათ. სპორტული საზოგადოებების და უწყებების დავა კი ასე დამთავრდა:

| | |
|---|---|
| „დინამო" | 61 ქულა |
| პროფკ. საზოგადოება | 60,5 |
| შეიარაღ. ძალები | 49 |
| „შრომითი რეზერვები" | 3,5 |

დაბოლოს ჩემპიონატის პრიზიორთა სიასაც გადავხედოთ:

**60 კგ.** 1. ა. ტოტიკაშვილი (საქართველო, თბილისი), 2. რ. გამზათოვი (რსფსრ, მახაჩყალა), 3. ა. ბარილოვსკი (რსფსრ, კრასნოიარსკი) და ფ. ლაზარენკო (მოლდავეთი, კოტოვსკი).

**65 კგ.** 1. ს. კოსმინინი (რსფსრ, მინუსინსკი), 2. ი. ვეშაგუროვი (ყაზახეთი, ალმა-ათა), 3. ა. იუშინი (რსფსრ, პერმი) და ა. ბაბაიანი (უზბეკეთი, ტაშკენტი).

**71 კგ.** 1. გ. თენაძე (საქართველო, გორი), 2. ვ. დგებუაძე (საქართველო, სოხუმი), 3. მ. ტიულპაროვი (ბელორუსია, ნოვი პოლოცკი) და ბ. ჯიქური (საქართველო, თბილისი).

**78 კგ.** 1. ბ. ვარაევი (რსფსრ, გროზნო), 2. ა. მაჰომედოვი (მოლდავეთი, კიშინიოვი), 3. კ. მისიკბაევი (ყაზახეთი, სემიპალატინსკი) და რ. იბრაჰიმოვი (რსფსრ, მახაჩყალა).

**86 კგ.** 1. ვ. ბუდიუკინი (მოსკოვი), 2. ა. თენაძე (საქართველო, თბილისი), 3. დ. ბაგაური (საქართველო, თბილისი) და დ. შაპჩიცი (ბელორუსია, მინსკი).

**95 კგ.** 1. კ. კურტანიძე (საქართველო, გორი), 2. ე. დოლინინი (ბელორუსია, მინსკი), 3. ვ. ვოინოვი (ლატვია, რიგა) და ლ. ქორქოლიანი (საქართველო, მარნეული).

**მძიმე.** 1. გ. ვერიჩევი (რსფსრ, ჩელიაბინსკი), 2. ს. კოსოვოროტოვი (რსფსრ, კუიბიშევი), 3. ა. გუბელაძე (საქართველო, ქუთაისი) და ვ. პარუნაშვილი (საქართველო, თბილისი).

**აბსოლუტური.** 1. ა. გუბელაძე (საქართველო, ქუთაისი), 2, დ. ხახალეიშვილი (საქართველო, ქუთაისი), 3. მ. ხუმარაძე (საქართველო, გორი) და გ. იარემენკო (უკრაინა, ოდესა).

# მიზანს მიაღწიეს

## ცურვა

**მას** შემდეგ, რაც სხვადასხვა სპორტსაზოგადოებები ერთი დიდი — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების — ალმის ქვეშ გაერთიანდნენ, საქართველოს ახალგაზრდა მოცურავეების გუნდი საკავშირო პირველობაში აღარ გამოსულა.

და აი, ძერჟინსკში გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა, რომელშიც 1972-73 წლებში დაბადებული მოცურავეები, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, საიდანაც ცხრა საუკეთესო გუნდი საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას იმსახურებდა. ჩვენმა მოცურავეებმა მიზანს მიაღწიეს და გუნდურ პირველობაში 340 ქულით VII ადგილი დაიკავეს.

უძლიერეს ექვსეულში მოხვდნენ: მოსკოვის პირველი ნაკრები (571 ქულა), მოლდავეთის (525), ესტონეთის (507), რსფსრ-ისა (494) და უკრაინის (489) პირველი გუნდები, აგრეთვე ლენინგრადის (363) წარმომადგენლები.

საქართველოს მოცურავეთაგან ყველაზე კარგად იასპარეზა ვლადიკ სტეპანოვმა, რომელსაც ნიკოლოზ მინასაშვილი ავარჯიშებს. სტეპანოვმა ყველას აჯობა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.44,24), ხოლო ამავე სახეობის 200-მეტრიან დისტანციაზე (2.13,49) მეორე იყო.

მერი და ვანო მაჭავარიანების აღსაზრდელი, თბილისელი არჩილ მეცხვარიშვილი უძლიერესი იყო 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (2.11.44).

ჩვენმა ვაჟთა ოთხეულმა — ალექსეი კრიჟანოვსკიმ, შოთა დავითაიამ, მეცხვარიშვილმა და სტეპანოვმა — მეორე ადგილი დაიკავა 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ესტაფეტაში (8.04,71).

აღსანიშნავია, რომ დავითაია გამოდიოდა 4X100 მეტრზე მოცურავეთა ესტაფეტაშიც, სადაც პირველ ეტაპზე 53,91 აჩვენა და სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. სამწუხაროდ, აქ ჩვენი „კვარტეტი" მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია კრიჟანოვსკის შედეგიც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, სადაც მან 4.13, 56 აჩვენა და ეს შედეგი სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება, მაგრამ ეს მხოლოდ VI ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.



**სურათზე:** მარცხნიდან — ა. კრიჟანოვსკი, ა. მეცხვარიშვილი, შ. დავითაია, ვ. სტეპანოვი.

ჭადრაკი

## ბოლო ტურის წინ

**ერთი** ტურიღა ' დარჩა მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური შესარჩევი შეჯიბრების დამთავრებამდე, რომელსაც სამტრედია მასპინძლობს. 10 ტურის შემდეგ ცხაკაიელ რომან სიჭინავას 8,5 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ბათუმელი ისიდორ გოგეშვილი. 7,5 ქულა მოაგროვა რუსთაველმა დათო ტიკურიშვილმა. შემდეგ მოდიან ალეკო ვაშაკიძე (სამტრედია), თემურ ვალიევი (ცხინვალი), ტარიელ ბენდელიანი (წყალტუბო), ფრიდონ ერისთავი, შოთა კუჭუხიძე (ორივე — ქუთაისი) 7-7.

ბოლო, XI ტურში ერთმანეთს ხვდებიან სიჭინავა-ბენდელიანი, გოგეშვილი — ერისთავი, კუჭუხიძე — ტიკურიშვილი, ვაშაკიძე — ვალიევი.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი.**

**(ტელეფონით).**

## ფინიში დაძაბული იქნება

**ახალგაზრდა** ოსტატთა საკავშირო პირველობის ფინიში, როგორც სჩანს, მეტად დაძაბული და საინტერესო იქნება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 8 მოჭადრაკე საპრიზო ადგილებზე გასვლის სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.

გათამაშდა VII-VIII ტურების შეხვედრები. გთავაზობთ მათ ტექნიკურ შედეგებს: **VII ტური:** შიროვი-გიორგაძე — 1:0, ოლი-ეპიშინი — 1:0, დრეევი-შაბალოვი — 1:0, სერპერი-აკოფიანი — 0,5:0,5, დაუტოვი-ნევეროვი — 0,5:0,5, ულიბინი-როზენტალისი — 0,5:0,5, რუბანი-სავჩენკო — 0,5:0,5. გადაიდო ტიმოშენკო-ანასტასიანის პარტია; **VIII ტური:** როზენტალისი-ტიმოშენკო — 1:0, ეპიშინი-ულიბინი — 1:0, გიორგაძე-დაუტოვი — 0:1, აკოფიანი-შაბალოვი — 0,5:0,5, სავჩენკო-დრეევი — 0,5:0,5, ნევეროვი-ოლი — 0,5:0,5, სერპერი-შიროვი — 0,5:0,5. გადაიდო ანასტასიან-რუბანის პარტია.

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება: **VI ტური:** სავჩენკო-ტიმოშენკო — 0:1, ანასტასიანი-ულიბინი — 0:1, ეპიშინი-დაუტოვი — 0:1, გიორგაძე-სერპერი — 1:0, შაბალოვი-რუბანი — 0,5:0,5.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ვალერი ნევეროვი (კიევი), რუსტემ დაუტოვი (მინსკი) — 5,5-5,5, ლემბიტ ოლი (ტალინი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი), ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი) — 5-5, ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი), მიხეილ ულიბინი (სვერდლოვსკი) — 4,5-4,5, აშოტ ანასტასიანი (ერევანი) — 4 (2).

**თამარ ხუბაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

## ტონს თბილისელები აძლევენ

**გორი** (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატის გორის ნახევარფინალურ ტურნირზე უკვე განვლილია 7 ტური. კარგად აიღო სტარტი ოსტატობის კანდიდატმა გიული ალიხანაშვილმა, რომელმაც მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა (დაუზავდა საგარეჯოელ ელენე ფარეშიშვილს) და ერთპიროვნულად ლიდერობს ტურნირში. ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს ოსტატობის კანდიდატი იამზე თვაურიც, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერს. 6 ქულა მოაგროვა პირველთანრიგოსანმა მაია ლომინეიშვილმაც. 5-5 ქულა აქვთ ოსტატობის კანდიდატებს ლელა ფანდაშვილსა და მარინე ლებანიძეს (ხუთივე მოჭადრაკე თბილისელია).

## უდანაკარგოდ

**წყალტუბო** (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). აქაურ ნახევარფინალში V ტურის შეხვედრები გათამაშდა. კვლავ გაიმარჯვა ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ეკატერინე ფახიროვამ, რომელიც ქულათა მაქსიმუმით სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება სოხუმელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე კემულარია. 4 ქულა აქვს წულუკიძელ ოსტატობის კანდიდატს ინგა ხურცილავას.

## ორი პრეტენდენტი

**ტალინში** მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური რჩება. როგორც გახსოვთ, 8 ტურის შემდეგ შეჯიბრებას თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი ლიდერობდა. მაგრამ IX-X ტურებში ყაიმს დასჯერდა იუგოსლაველ ვესნა ბაშაკიჩსა და ტალინელ მაია რანიკუსთან შეხვედრებში, რითაც ისარგებლა სვეტლანა პრუდნიკოვამ (სტავროპოლის ოლქი) და დაეწია ლიდერს. ახლა კახიანსა და პრუდნიკოვას 7,5-7,5 ქულა აქვთ. 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ტატიანა ფომინასა და მაია რანიკუს. 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს კაია იანისტემ, მონიკა ციგანოვამ (ორივე — ტალინი), მოსკოველმა რიმა ბილუნოვამ, ვესნა ბაშაკიჩმა და რუმინელმა ოტილია კანტმა. როგორც ხედავთ, ორი ლიდერი საკმაოდ დასცილდა მდევართა ჯგუფს. ახლა I ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად კახიანსა და პრუდნიკოვას შორის წარიმართება.

ჭადრაკი

## მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩები

**კვებეკი.** კანადის ამ ქალაქში დამთავრდა ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩი საბჭოთა დიდოსტატ არტურ იუსუპოვსა და კანადელ კევინ სპრაგეტს შორის. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვა საბჭოთა მოჭადრაკემ და ნახევარფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღო. ეს მან მესამე დამატებითი პარტიის მოგებით მოახერხა. შეგახსენებთ, რომ მის მეტოქეს, სპრაგეტს მერვედფინალურ მატჩშიც „დამატებითი დრო" დასჭირდა. ოღონდ მაშინ მას საბჭოთა დიდოსტატ ანდრეი სოკოლოვის დასამარცხებლად 12 პარტიის თამაში მოუხდა.

მაშ ასე, არტურ იუსუპოვი ახალ მეტოქეს ელოდება.

• • •

**ანტვერპენი** (ბელგია). ამ მეოთხედფინალურ მატჩში, სადაც ერთმანეთს უნგრელი ლაიოშ პორტიში და ჰოლანდიელი იან ტიმანი ხვდებიან, IV პარტია გათამაშდა და იგი ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2,5:1,5 უნგრელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

• • •

**სიეტლი** (აშშ). მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვისა და ისლანდიელი დიდოსტატის იოჰან ჰიარტარსონის მეოთხედფინალურ მატჩში გათამაშდა V პარტია, რომელიც 32-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 3,5:1,5 მსოფლიოს ექსჩემპიონის სასარგებლოდ. ამრიგად, ანატოლი კარპოვმა ვადამდე მოიპოვა ნახევარფინალური მატჩის ერთ-ერთი საგზური.

## პირველი ადგილი სიმფეროპოლის ნაკრებს

**თბილისის** სამედიცინო ინსტიტუტში დამთავრდა სამედიცინო ინსტიტუტების VII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება „სწრაფ ჭადრაკში" (30-30 წუთიანი პარტიები).

ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, სიმფეროპოლის, ხარკოვის ფარმაცევტული ინსტიტუტის, მოსკოვის — II, ჩერნოვცკის, როსტოვის, კიევის, პიატიგორსკის, სმოლენსკის, ვოლგოგრადის, ტერნოპოლსკის და ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები.

32 ქულით პირველი ადგილი დაიკავა სიმფეროპოლის ნაკრებმა გუნდმა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე — სამტრედიელი ოსტატობის კანდიდატი, ყირიმის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელი ზეინაბ ხვედელიძე, რომელმაც თავის დაფაზე შესანიშნავი შედეგით, 11 შესაძლებლიდან 10,5 ქულით I ადგილი დაიკავა.

31,5 ქულით II ადგილი წილად ხვდა თბილისის ნაკრებ გუნდს (ოსტატობის კანდიდატები დავით ლობჟანიძე, ირაკლი ჩაჩუა, ზვიად ურჯუმელაშვილი, ქეთევან მარდალეიშვილი). 28-28 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს მოსკოვის — II და ხარკოვის ფარმაცევტული ინსტიტუტის გუნდებმა. 25 ქულით V ადგილზეა სმოლენსკის ნაკრები; ვოლგოგრადელმა მოჭადრაკეებმა 22 ქულით VI ადგილი დაიკავეს. 19,5 ქულა კი დააგროვა ტერნოპოლის ნაკრებმა გუნდმა და VII ადგილზე გავიდა.

დებულების თანახმად I-VII ადგილის მფლობელნი დაშვებული არიან ფინალურ ეტაპზე.

დაფების მიხედვით საუკეთესო შედეგი აჩვენეს: I დაფა. ალექსანდრე კრავეცი (ჩერნოვსკი) — 9 ქულა, II ვლადიმერ ვოსკობოინისი (მოსკოვი — II) — 10, III დ. მიხეილ იარულინი (სიმფეროპოლი) — 10.

**ვასილ ვაშაკიძე.**

## ი. კრიხელის მემორიალი

**გამოჩენილი** საჭადრაკო კომპოზიტორის, საერთაშორისო დიდოსტატ იოსებ კრიხელის ხსოვნის აღსანიშნავად გორის საჭადრაკო კლუბი გამართავს საერთაშორისო კონკურსს საჭადრაკო ეტიუდებისა და მრავალსვლიანი ამოცანების შედგენაში.

ეტიუდები და ამოცანები ორ ცალად უნდა გამოიგზავნოს არა უგვიანეს 1989 წლის 1 ივნისისა შემდეგი მისამართით: 383500, ქ. გორი, სტალინის ქ. №31, საჭადრაკო კლუბი, წარწერით: „ი. კრიხელის მემორიალი".

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), საერთაშორისო ოსტატი დ. გურგენიძე (საგარეჯო) და ა. ლობუსოვი (მოსკოვი).

კონკურსში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

## ქარმა გააწვალა

**შაბათს** [illegible] ხუთი ერის პირველობის [illegible] ტურის შეხვედრები.

ლონდონის გარეუბან თვიქნემში ფავორიტებმა ინგლისელებმა შოტლანდიელებს უმასპინძლეს. მატჩი ძლიერ ქარში ჩატარდა. უთუოდ ამის ბრალიც იყო, თამაში უღიმღამო რომ გამოდგა: ორივე გუნდის მორკინალები ერთთავად აყოვნებდნენ ბურთს, ხშირად ჯარიმდებოდნენ თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევისათვის, სამმეოთხედელებს კი ეპიზოდურად ეძლეოდათ შეტევის შესაძლებლობა. მატჩში ერთადერთი ლელო გავიდა. ისიც მას შემდეგ, რაც ინგლისელთა მცველმა ვებმა ვერ დაიჭირა შოტლანდიელთა გარე ნახევარმცველის ჩალმერსის მიერ მასპინძელთა 22-მეტრიან მოედანზე ჩაწოდებული მაღალი ბურთი და მას სტუმართა მესამე ხაზის მორკინალი ჯეფრი დაეუფლა. შოტლანდიელებმა დანარჩენი ქულები გარდასახვითა და ორი საჯარიმოს გატანით მცველმა დოდსმა შესძინა, ინგლისელთაგან კი ვებმა და გარე ნახევარმცველმა ენდრიუმ გაიტანეს ორ-ორი საჯარიმო. აღსანიშნავია, რომ ინგლისელთა დამრტყმელებმა ამ დღეს 8 საჯარიმო ააცდინეს კარს, მათ შორის — ბოლო წუთზეც. საბოლოოდ, ძველ მეტოქეთა 105-ე მატჩი ფრედ — 12:12 (6:9) დამთავრდა, ამ გუნდებს შორის გამარჯვებულისათვის დაწესებული კალკუტის თასი კი შარშანდელ მფლობელს — ინგლისის ნაკრებს დარჩა.

ქარმა კარდიფის „არმზ ფარქზე" მოასპარეზე უელსისა და ირლანდიის გუნდები ნაკლებად გააწვალა. შესვენებამდე მცველმა სორბერნმა ორი საჯარიმოს გატანით 6 ქულით დააწინაურა მასპინძლები. მეორე ტაიმში ქირნანის სამი გოლისა და მანიანის ლელოს წყალობით წინ გავიდნენ ირლანდიელები — 13:6. უელსელებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ მატჩის მიწურულს ინგლისელმა მსაჯმა ქვითინთონმა სტუმრებს ფრიად საჭოჭმანო ლელო ჩაუთვალა. ამას უელსელთა უთავბოლო შტურმი მოჰყვა: მასპინძლებმა ირლანდიელთა კარის ხაზის სიახლოვეს ზედიზედ დანიშნული სამი საჯარიმო გაათამაშეს. მაგრამ ლელო მაინც ვერ გაიტანეს და დამარცხდნენ — 13:19.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მეექვსე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45-დან":** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 1 (კალათბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა).

# საფეხბურთო კავშირის თასზე

**უახლოეს** ხანებში შეიქმნება ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კავშირი, ჩატარდება ახალი კავშირის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ანალოგიაა.

თასის გათამაშება დაიწყება საკავშირო ჩემპიონატამდე, უკვე 26 თებერვალს გაიმართება პირველი მატჩები.

გათამაშების პირველ ეტაპზე უმაღლესი ლიგის 16 გუნდი განაწილებულია 4 ჯგუფად:

**„ა" ჯგუფი.** „არარატი" (ერევანი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „როტორი" (ვოლგოგრადი), „ზენიტი" (ლენინგრადი).

**„ბ" ჯგუფი.** „დინამო" (მოსკოვი), „ტორპედო" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი).

**„ც" ჯგუფი.** „დინამო" (კიევი), „მეტალისტი" (ხარკოვი), „ჩერნომორეცი" (ოდესა), „შახტიორი" (დონეცკი).

**„დ" ჯგუფი.** „დინამო" (მინსკი), „დინამო" (თბილისი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „პამირი" (დუშანბე).

თასის სასტარტო მატჩი თბილისის „დინამოს" სტუმრად აქვს ვილნიუსის „ჟალგირისთან".

## სუპერთასის პირველი მატჩი

ქ. მეჰელენში შედგა ევროპის საფეხბურთო სუპერთასის პირველი მატჩი ჩემპიონთა თასის მფლობელ ჰოლანდიის „ეინდჰოვენსა" და თასების მფლობელთა თასის მფლობელს ბელგიის „მეჰელენს" შორის. თამაში ბელგიელ ფეხბურთელთა უპირატესობით წარიმართა, ისინი უკვე მე-18 წუთზე დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. პირველი ბურთი გაიტანა ბოსმანმა, მეორე — ვილდემ. შესვენების შემდეგ, პირველ წუთებზევე ბოსმანმა საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს — 3:0.

სუპერთასის საპასუხო თამაში გაიმართება 8 თებერვალს.



**ბუდაპეშტი.** აქ გაიმართა მინიფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მეორე კონგრესი. ფედერაციის შემადგენლობაში შედიან დამფუძნებლები — ბელგია, ჰოლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მათ შეუერთდნენ უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია.

როგორც ცნობილია, სულ ახლახან, იანვარში, ჰოლანდიაში გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში. მეორე მსოფლიო პირველობა დაგეგმილია 1991 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი მინიფეხბურთში გაიმართება ბელგიაში.

**ლოზანა.** შვეიცარიის ამ ქალაქში ჩატარდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი, ამასთან დაკავშირებით ლოზანის „პონთეზის" სტადიონის ტევადობა 38-დან 25-ათასამდე შემცირდება. ამას მოითხოვს ახალი წესები, რომლებიც ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა შეიმუშავა ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპის საფეხბურთო თასის გადამწყვეტი მატჩის ჩატარება ასეთ პატარა სტადიონზეა დანიშნული, ორგანიზატორებს განზრახული აქვთ თამაშის, ტელეტრანსლაცია გიგანტურ ეკრანებზე განახორციელონ იმ ქალაქებში, რომელთა გუნდებიც ფინალში ითამაშებენ.

**სან-პაულუ.** ბრაზილიის ამ ქალაქში დამთავრდა წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება პელეს თასზე. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრები, გაიმარჯვეს ბრაზილიელმა ვეტერანებმა — 4:2.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს სსრ სპორტსახკომთან არსებული მინიფეხბურთის კოოპერაციული კლუბი „მრეტები", 18-19 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში მართავს მინიფეხბურთის ორდღიან საკავშირო ტურნირს, ხოლიდური საპრიზო ფონდითა და შოუს თანხლებით (გათამაშდება „მისს მრეტების" პრიზი).**

მონაწილეობენ ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდები და „მრეტების" გუნდი.

შეხვედრები დაიწყება საღამოს 5 საათიდან.

სარეკლამო ფარების ადგილების შეძენის მსურველებს, სპონსორობის მსურველებს, აგრეთვე, „მრეტების" ემბლემიანი სპორტული ატრიბუტიკის დამზადებისა და ტურნირზე რეალიზაციის მსურველებს ვთხოვთ დროულად მოგვმართონ მისამართით:

ოფისი: 380015 თბილისი, კონსტიტუციის მოედანი 1.

სპორტის სასახლე, მინიფეხბურთის კლუბი „მრეტები".

ტელ: 36-23-04.

ინდექსი 66406. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კომპლექსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07121